INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

№20161001

6 ოქტომბერი, 2016 წ.

საქართველოს სახალხო დამცველს

ბატონ უჩა ნანუაშვილს

ბატონო უჩა,

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის მარტის თვეში ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მიმართა იდენტური შინაარსის მქონე საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით. სამწუხაროდ ყველა უწყებამ უპასუხოდ დატოვა ჩვენი განცხადებები. ვფიქრობთ, აღნიშნული წარმოადგენს ჩვენი კონსტიტუციური უფლების დარღვევას გავეცნოთ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე და სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 და მე-13 მუხლების საფუძველზე მოგმართავთ განცხადებით შეამოწმოთ მოცემულ საქმეზე ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-ს უფლების დარღვევის ფაქტი.

კერძოდ, საქმის გარემოებები შემდეგია: 2016 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში შემავალმა ყველა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა უპასუხოდ დატოვა IDFI-ის შემდეგი განცხადებები:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - წერილი FOI 03/16/020 (დანართი 1), ჩაბარების თარიღი - 25.03.2016 (დანართი 2);
2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - წერილი FOI 03/16/076, (დანართი 3), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 4);
3. საკანონმდებლო მაცნე - წერილი FOI 03/16/077 (დანართი 5), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 6);
4. იუსტიციის სახლი - წერილი FOI 03/16/078, (დანართი 7), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 8);

Institute for Development of Freedom of Information
3, Al. Griboedov Street, 0108, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 292 15 14 • info@idfi.ge

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ალ. გრიბოედოვის ქ. № 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ. +995 32 292 15 14 • info@idfi.ge

www.idfi.ge

5. აღსრულების ეროვნული ბიურო - წერილი FOI 03/16/079, (დანართი 9), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 10);
6. მონაცემთა გაცვლის სააგენტო - წერილი FOI 03/16/080, (დანართი 11), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 12);
7. სმართ ლოჯიქი - წერილი FOI 03/16/081, (დანართი 13), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 14);
8. საქართველოს ეროვნული არქივი - წერილი FOI 03/16/082, (დანართი 15), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 16);
9. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - წერილი FOI 03/16/083, (დანართი 17), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 18);
10. ნოტარიუსთა პალატა - წერილი FOI 03/16/084, (დანართი 19), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 20);
11. იუსტიციის სასწავლო ცენტრი - წერილი FOI 03/16/085, (დანართი 21), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 22);
12. დანაშაულის პრევენციის ცენტრი - წერილი FOI 03/16/086, (დანართი 23), ჩაბარების თარიღი - 29.03.2016 (დანართი 24).

აღსანიშნავია, რომ ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს პრაქტიკის თანახმად აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით გამოირჩეოდნენ 2015 წელსაც, როდესაც მათ უპასუხოდ დატოვეს ჩვენი განცხადებების უმეტესობა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. 2015 წელს აღნიშნულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საჯარო ინფორმაცია არც ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენის შემდეგ მოგვაწოდეს და ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვეს ჩვენი ადმინისტრაციული საჩივრები. როგორც უკვე აღინიშნა, იუსტიციის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში შემავალმა ყველა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა ანგარიშვალდებულების კიდევ უფრო დაბალი ხარისხი აჩვენეს 2016 წელს, როდესაც უპასუხოდ დარჩა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ ჩვენი განცხადებები (2015 წლის პრაქტიკიდან გამომდინარე, 2016 წელს უწყებებში ადმინისტრაციული საჩივრები ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" აღარ წარუდგენია). არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემურ ხარვეზთან, რადგან უკვე 2 წელია იუსტიციის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი რეაგირების გარეშე ტოვებს ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" განცხადებებს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 43–ე და სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს კანონის მე–12, მე–13 და 14[1] მუხლების საფუძველზე, გთხოვთ, შეისწავლოთ ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ უფლების დარღვევის ფაქტი და სახალხო დამცველისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოთ შესაბამისი ქმედებები, მათ შორის: „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18 მუხლის, „გ“ პუნქტის საფუძველზე მოთხოვოთ წერილობითი ახსნა–განმარტა მოცემულ საკითხზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე გაუგზავნოთ მათ წინადადებები საქართველოს კონსტიტუციის 41–ე მუხლით დაცული უფლების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით.

პატივისცემით
ლევან ავალიშვილი

გამგეობის თავმჯდომარე